შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/06/17-014
17-06-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს,

კომისიის წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,

წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ შენიშვნებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გამოქვეყნებულ „ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ პროექტთან (შემდგომში - პროექტი) დაკავშირებით.

საკითხების ჩამონათვალი, რომელიც განსამარტია კომისიის მიერ შემდეგია:

1. პროექტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ოპერატორმა უნდა მიიღოს ინვესტიციაზე სამართლიანი ეკონომიკური მოგება, თუმცა პროექტში არსად არის განსაზღვრული, რა სახით უნდა მოხდეს მოგების განაკვეთის/მოცულობის დადგენა. პროექტში არის მინიშნება ე.წ „mark-up”-ზე, რის მიხედვითაც აღნიშნულ ფასებში ზედნადები ხარჯების ჩართვის შესაძლებლობას გულისხმობს;
2. პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია - „მიზეზობრიობის პრინციპი“, მაგრამ გაურკვეველია, რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ;
3. პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ საფასურის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იქნეს ინფრასტრუქტურის ელემენტის მაქსიმალური დატვირთვის პროპორცია. მაგალითად, ინფრასტრუქტურის ოპერატორს დასახლებული პუნქტისგან მოშორებით აქვს ანძა, სადაც თეორიულად შესაძლებელია 20 ერთეული ანტენის განთავსება, მაგრამ რეალურად მოთხოვნები არ აღემატება მაგალითად 12-ს, გაურკვეველია ასეთ დროს ფასის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იყოს 20 ანტენის განთავსების შესაძლებლობა, თუ 12-ის;
4. პროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დადგინდება გეოგრაფიული და მომსახურების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ერთიანი საშუალო შეწონილი ფასი ერთ მეტრზე/ცალზე/ერთეულზე, მაგრამ გაურკვეველია ვინ ადგენს ამ საშუალო ფასს. ასევე გაურკვეველია, კონკრეტული ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის იქნება დათვლილი, თუ თეორიული ეფექტური ოპერატორისთვის;

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

შ-24-6/2664
17.06.2024
2ფურც.

5. პროექტის მე-5 მუხლის ე) პუნქტში მითითებულია „საგანგებო ხარჯები“, მაგრამ გაურკვეველია, რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ;
6. პროექტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველო დაყოფილია 3 გეოგრაფიულ ტიპად“, მაგრამ გაურკვეველია ვინ და როგორ განსაზღვრავს ამ გეოგრაფიულ ტიპებს ისე, რომ ის გამოყენებადი იყოს პრაქტიკაში ფასების კალკულაციისათვის;
7. პროექტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია ფიზიკური ინფრასტრუქტურის სირთულის მიხედვით განსასაზღვრ „შესაძლო“ კოეფიციენტებზე, მაგრამ გაურკვეველია ვინ და როგორ აფასებს და რა მოცულობით უნდა იქნეს აღებული კოეფიციენტები;
8. პროექტის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ „მხედველობაში იქნეს მიღებული გრძელვადიან პერსპექტივაში გასაწევი სამომავლო საშუალო ნაზარდი დანახარჯები“. გაურკვეველია, რა ტიპის საშუალო უნდა იქნეს აღებული და ეს საშუალო დათვლილ უნდა იქნეს ოპერატორების საშუალოს მიხედვით, თუ თეორიული ეფექტური ოპერატორის ხარჯების მიხედვით;
9. პროექტის მიხედვით გაურკვეველია ვინ და როგორ განსაზღვრავს არაეფექტურად გაწეულ ხარჯებს, არადაბრუნებად დანახარჯებს (sunk cost) და კიდევ უფრო გაურკვეველია, საერთოდ რატომ არის საუბრები ამ ხარჯებზე, თუ საფასურის გაანგარიშება უნდა მოხდეს თეორიულად ეფექტური ოპერატორის პრინციპის მიხედვით;
10. პროექტის მიხედვით გაურკვეველია ასევე ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხი. მაგალითად, თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორი ანძის აშენებას აპირებს და ამ დროს მიმართა მას დაშვების მსურველმა, მაშინ აშენების ხარჯი გათვალისწინებული უნდა იყოს დაშვების საფასურში, ხოლო თუ ანძა უკვე აშენებულია, მაშინ აშენების ხარჯი არადაბრუნებად (sunk) ხარჯს წარმოადგენს და არ უნდა იქნეს შეყვანილი დაშვების ფასში;
11. პროექტში მოყვანილია ანუიტეტის დათვლის რამდენიმე გზა. თუ კომისია ითხოვს ერთი კონკრეტული გზის გამოყენებას, გაუგებარია რა საჭიროა ყველა გზის ჩამოთვლა;
12. პროექტის მიხედვით გაურკვეველია როგორ უნდა მოხდეს საფასურის გაანგარიშება მაგალითად 2 წლიანი დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აქტივის დარჩენილი სასიცოცხლო ვადა არის 10 წელი.

პატივისცემით,

ანდრია ზოდელავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

დოკუმენტის ნომერი: **240617017**

Digitally signed by MagtiCom LLC
2024.06.17 16:31:58 +0400
მაგთიკომი MAGTICOM